შეთანხმების ფურცელი

სასესხო ხელშეკრულების პროექტის (45,0 მლნ ევრო) რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW, მაინის ფრანკფურტი) და საქართველოს (წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროთი, „მსესხებელი“), დაფინანსების ხელშეკრულების პროექტის (2,0 მლნ ევრო) რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW, მაინის ფრანკფურტი) და საქართველოს (წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროთი, „მიმღები“) შორის და სასესხო და დაფინანსების ხელშეკრულებების განსაკუთრებული შეთანხმების პროექტის KfW-ს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, თვითმმართველ ქალაქ ბათუმს (“პროექტის განმახორციელებელი სააგენტო”) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს შორის პროექტისათვის „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (ფაზა II)“

უწყება	შენიშვნა	
იუსტიციის სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნიათ	
საგარეო საქმეთა სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნიათ	
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	1. ქართულ და ინგლისურენოვან ტექსტებს შორის არის არსებითი ხასიათის განსხვავებები, რომლებიც საჭიროებენ შესწორებას. მათ შორის არ ემთხვევა ქართულ და ინგლისურენოვან ტექსტში მითითებული თარიღები (მაგ: სასესხო ხელშეკრულების პროექტის ქართული ვარიანტის 2.3 პუნქტისა და ინგლისური ვარიანტის 2.3 პუნქტში განსაზღვრული თარიღები)	გათვალისწინებულია
	2. მიზანშეწონილია სასესხო და დაფინანსების ხელშეკრულებების პრეამბულიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი წინადადება: დაფინანსების ხელშეკრულებიდან - “შეთანხმება, რომელიც გაფორ-მებული უნდა იქნეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფინანსური	არ არის გათვალისწინებული დონორის მიერ. გერმანული მხარის მიერ უკვე მოწოდებულია გასაფორმებელი სამთავრობათაშორისო შეთანხმე-ბის პროექტი. ამასთან, არსებული პრაქტიკით ფორმდება ისეთი სასესხო თუ დაფინანსების ხელშეკრულებები, რომლებიც რატიფიცი-რებულია საქართველოს პარლამენტის მიერ (მაგ.: 2005 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული და საქართველოს

	თანამშრომლობის შესახებ 2008-2009 შესახებ (სშ II) (სამთავრობათაშო-რისო შეთანხმებები)", და სასესხო ხელშეკრულები-დან – შეთანხმება, რომელიც ჯერ არ გაფორმებულა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ 2008-2009 შესახებ (სშ II) (სამთავრობათაშორისო შეთანხმებები)", რადგან მომავალში დადებული შეთანხმება არ შეიძლება იყოს ხელშეკრულების დადების საფუძველი.	პარლამენტის მიერ 2005 წლის 28 დეკემბრის №2618 დადგენილებით რატიფიცირებული "სასესხო ხელშეკრულება KfW-ს და საქართველოს, წარმოდ-გენილს ფინანსთა სამინისტროს მიერ ("მსესხებელი") და ს/ს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგო-კომპანია"-ს (სგსე) პროექტის განმახორციე-ლებელი ორგანიზაცია, შორის 25,000,000 ევროზე" პროექტისათვის "ენერგოგამანაწი-ლებელი სისტემის რეაბილიტაცია I"); 2005 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული და საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 28 დეკემბრის №2617 დადგენილებით რატიფიცირებული "სასესხო და საპროექტო ხელშეკრულება KfW-ს და საქართველოს ("მსესხებელი"), წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი, ასევე შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას (პროგრამის აღმასრულებელი სააგენტო) შორის 8,313,250.19 ევროზე" პროექტისათვის "ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა") და სხვა), რომლებიც ეფუძნება მომავალში გასაფორმებელ სამთავრობო შეთანხმებებს. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სამთავრობო შეთანხმების გაფორმებისა და ძალაში შესვლის გარეშე აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერა და რატიფიცირება არ იძლევა ხელშეკრულების ძალაში შესვლის საშუალებას. რაც შეეხება ძალაში შესვლის პროცედურას, ქართულ ტექსტში მოხდა შესაბამისი მუხლის ფორმულირების დაზუსტება
	3. 3.1 პუნქტი შესაბამისობაშია მოსაყვანი 5.1 პუნქტთან	არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან 3.1 პუნქტით განსაზღვრული პირველი გადახდის დღე (2008 წლის 30 დეკემბერი) არის "ვალდებულების გადასახადი"-ს გადახდის თარიღი, ხოლო 5.1 პუნქტით განსაზღვრული პირველი გადახდის დღე (2014 წლის 30 ივნისი) არის სესხის ძირითადი თანხის გადახდის დღე

	3. სასესხო ხელშეკრულების 1.1 პუნქტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "KfW გადასცემს მსესხებელს სესხს, რომლის ოდენობა მოიცავს 45 000 000 ევროს" და დაფინანსების ხელშეკრულების 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "KfW მიმღებს გამოუყოფს დაფინანსების თანხას რომელიც მოიცავს 2 000 000 ევროს"	არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან ეს არის KfW-ს ფორმულირება, აღნიშნული ფორმულირებით არის გაფორმებული საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული არა ერთი შეთანხმება. აღნიშნული ფორმულირება გულისხმობს, რომ KfW-ს მიერ გამოყოფილი თანხები არ უნდა აღემატებოდეს და რეალურადაც ასე ხდება შესაძლოა იყოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხაზე ნაკლები, მაგრამ ის ოდენობა რაც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად.
საქართველოს ეროვნული ბანკი	შენიშვნები არ გააჩნიათ	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	შენიშვნები არ გააჩნიათ	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	შენიშვნები არ გააჩნიათ	
თვითმმართველი ქალაქი ბათუმის მერია	შენიშვნები არ გააჩნიათ	
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	შენიშვნები არ გააჩნიათ	